დაბა ასპინძის N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

(ასპინძის მუნიციპალიტეტი)

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

თბილისი, საქართველო

მარტი, 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტის სამშენებლო მოედანი მდებარეობს ასპინძაში, სამხრეთ საქართველოში სამცხე ჯავახეთის რეგიონში. მანძილი თბილისიდან არის 230 კმ. დაბა ასპინძა მდებარეობს 34 კმ-ში ქალაქ ახალციხიდან - რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი. 2002 წლის აღწერის თანახმად მისი მოსახლეობა შეადგენს 3,2 ათასს.

ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციას, გარე სათამაშო ეზოს და სარეკრეაციო ზონის მოწყობას.

არსებული საბავშვო ბაღი არის ორსართულიანი. პირველი სართული სრული ფართობია 479,27$м^2$, მეორე სართულის - 569,20 $м^2$, ხოლო სარდაფი - 488,36 $м^2$. ეზოს ფართობია 2176 $м^2$, რომელშიც შედის 849 $м^2$ ტროტუარი და 62 მ2 საქვაბე ოთახი. შენობა დაფარულია მეტალო კრამიტით. საბავშვო ბაღის ინტერიერი და ექსტერიერი დაზიანებულია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

ამჟამად საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, 125 ბავშვი დადის ბაღში. პერსონალის რაოდენობა შეადგენს 20 ადამიანს და მათი ხელფასის გადახდა ხდება ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ.

ასპინძაში ასევე იგეგმება სხვა საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც, როგორც რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი 2 -ის ნაწილი. იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული პროცესის შეწყვეტა რეაბილიტაციიდან გამოდინარე, ბაღების რეაბილიტაცია მოხდება რიგრიგობით და ბავშვები და პერსონალი დროებით იქნებიან გადაყვანილნი ერთ-ერთ საბავშვო ბაღში.

ქვე-პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

შენობის შიდა დაგეგმარების შეცვლა, აგურის შიდა კედლების, ტიხრების, კერამიკული და პარკეტის იატაკის, კარებების, ხის ფანჯრების და საფეხურების დემონტაჟი.

- აგურის კედლების, ტიხრების, თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მოწყობას; შიდა კედლების ლესვას და შეღებვას;
- ლამინირებული პარკეტისა და შეკიდული ჭერის მოწყობას.
- საპირფარეშოების მოწყობას.
- მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებისა დაყენებას.
- კიბის მოწყობას.
- შიდა წყალმომარაგების, კანალიზაციის, ელექტრო ენერგიის სისტემის უზრუნველყოფას, და გათბობის სისტემის დაყენებას.
- ფასადის ლესვას, ღებვას და კიბის აღდგენას.
- ძველის ღობის გამოცვლას.
- ეზოში ასფალტის დასხმასა და ბორდიურების მოწყობას.

- ეზოში სათამაშო ადგილის მოწყობას, საქანელების და სასრიალოების მოწყობას.

შენობის სახურავი კარგ მდგომარეობაშია და შესაბამისად არ საჭიროებს რეაბილიტაციას. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია შენობის სახურავის ცეცხლ გაუმტარი მასალით იზოლაცია.

გათბობის სისტემა იმუშავებს გაზზე. დაყენდება ფოლადის სექციური რადიატორები და ორი ახალი ბოილერი თითოეული 100კვ სიმძლავრით.

შენობას ელექტრო ენერგიით ამარაგებს ტრანსფორმატორი რომელიც მდებარეობს 50 მეტრში. მთავარი დენის კაბელი უნდა გატარდეს პირველ სართულზე ელექტრო ფარში. არსებული დენის კაბელი ჩანაცვლდება ახლით.

შენობის წყალმომარაგება ხდება არსებული მუნიციპალური ქსელიდან. კანალიზაციის სისტემა დაერთდება არსებულ მუნიციპალურ კანალიზაციის ქსელზე, რამდენიმე გამომშვები მილით.

ქვე-პროექტის განხორციელების ხანგრძლივობაა 5 თვე.

(A) ხემოქმედების იდენტიფიცირება

ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება ზომიერად ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე. ქვე-პროექტი მდებარეობს უკვე მოდიფიცირებული გარემოს მქონე ადგილას. ძირითადი ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, რომელიც მოიცავს ძველი არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, და გარე კომუნიკაციების მონტაჟს.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა მოკლევადიანია და დამახასიათებელია მოდიფიცირებულ ლანდშაფტზე მიმდინარე მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. შემდგომი ზემოქმედება დაკავშირებულია საბავშვო ბაღის მიერ გამომუშავებული ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან. შენობა არ იქნება აღჭურვილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი საშუალებით, რადგან დაბა ასპინძას აქვს

	ცენტრალიზებული მუნიციპალური კანალიზაციის სისტემა, რომელზეც მიერთებულია საბავშვო ბაღი.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება სასარგებლო იქნება, რადგანაც ადგილობრივი თემი უზრუნველყოფილი იქნება ახალი კომფორტაბელური საბავშვო ბაღის შენობით, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს არსებულ პირობებს ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის. ამჟამად საბავშვო ბაღი მოქმედია და ჰყავს 125 აღსაზრდელი. პერსონალი შეადგენს 20 ადამიანს, ხოლო მათი ხელფასის გადახდა ხდება ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ.. ასპინძაში ასევე იგეგმება სხვა საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც, როგორც რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი 2 -ის ნაწილი. იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული სწავლის პროცესის შეწყვეტა, რეაბილიტაციიდან გამოდინარე, ბაღების რეაბილიტაცია მოხდება რიგ-რიგობით და ბავშვები და პერსონალი დროებით იქნებიან გადაყვანილნი ერთ-ერთ საბავშვო ბაღში. შესაბამისად ქვე-პროექტს არ ექნება ზეგავლენა პერსონალზე, ბავშვებსა და მათ ოჯახებზე და არ შეეზღუდებათ საზოგადო მომსახურეობის შესაძლებლობა. ქვე-პროექტს არ ექნება ზეგავლენა პერსონალის შემოსავალზე, მათი ხელფასის გადახდა სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში უწყვეტად მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ. ქვე-პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება სოციალურ გარემოზე, რაც მდგომარეობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. ეზოში მოეწყობა რეკრეაციული ზონა და სათამაშო მოედანი ბავშვებისათვის. უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების

	ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან. ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის მიწის დაკავებას ან ადგილმონაცვლეობას. მიწის ნაკვეთი, რომელზეც შენობა არის განთავსებული რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც სახელმწიფო საკუთრება . გათვალისწინებული არ არის ზემოქმედება მიმდებარე სახლებსა და სასოფლო სამეურნეო მიწებზე.

(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?	იმის გათვალისწინებით, რომ ქვე-პროექტი გულისხმობს არსებული ძველი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციას სხვა ალტერნატივები განხილული არ ყოფილა.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა და მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლის ხის მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდეს მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს შენობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საშუალო და მსხვილი მასშტაბის პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. წინა ანალოგიური პროექტებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს არა მხოლოდ შენობის რეაბილიტაციას არამედ სათამაშო მოედნის და რეკრეაციული ზონის მოწყობას.

ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?	ქვე-პროექტი მომზადებულია იქნა ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ, საკრებულოსთან კონსულტაციებით ამჟამად არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. ადგილობრივ მოსახლეობის ინფორმირება მოხდა ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის და საკრებულოს წარმომადგენელების მიერ ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრაზე, და მათი ინტერესები მხედველობაში იქნა მიღებული ქვე-პროექტის მომზადებისას. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა კონკრეტული ქვე პროექტისათვის ხელმისაწვდომი იქნება ასპინძის მოსახლობისათვის და დეტალურად განიხილება სამუშაოების დაწყებამდე ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრაზე. ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა განხილული იქნა საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა დაბა ასპინძში, კულტურის სახლის შენობაში 2015 წლის 17 მარტს.

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის.

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)[1]	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძი, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლელული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

1. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში მყოფ აქტივს, ფართობით 3800 მ^2.

გარემოს დაცვის მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების მეორე პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	დაბა ასპინძა საბავშვო ბაღი N1 (ასპინძის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე-პროექტი ითვალისწინებს საბავშვო ბაღის არსებული ძველი შენობის რეაბილიტაციას, და გარეთ სათამაშო და რეკრეაციული ზონების მოწყობას ბავშვებისათვის. ქვე-პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: - შენობის შიდა დაგეგმარების შეცვლა, აგურის შიდა კედლების, ტიხრების, კერამიკული და პარკეტის იატაკის, კარებების, ხის ფანჯრების და საფეხურების დემონტაჟი. - აგურის კედლების, ტიხრების, თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მოწყობას; შიდა კედლების ლესვას და შეღებვას; - ლამინირებული პარკეტისა და შეკიდული ჭერის მოწყობას. - საპირფარეშოების მოწყობას. - მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებისა დაყენებას. - კიბის მოწყობას. - შიდა წყალმომარაგების, კანალიზაციის, ელექტრო ენერგიის სისტემის უზრუნველყოფას, და გათბობის სისტემის დაყენებას. - ფასადის ლესვას, ღებვას და კიბის აღდგენას. - ძველის ღობის გამოცვლას. - ეზოში ასფალტის დასხმასა და ბორდიურების მოწყობას. - ეზოში სათამაშო ადგილის მოწყობას, საქანელების და სასრიალოების მოწყობას. შენობის სახურავი კარგ მდგომარეობაშია და შესაბამისად არ საჭიროებს რეაბილიტაციას. ქვე-პროექტით

<table>
<tr><td></td><td colspan="3">გათვალისწინებულია შენობის სახურავის ცეცხლ-გაუმტარი მასალით იზოლაცია.
გათბობის სისტემა იმუშავებს გაზზე. დაყენდება ფოლადის სექციური რადიატორები და ორი ახალი ბოილერი თითოეული 100კვ სიმძლავრით.

შენობას ელექტრო ენერგიით ამარაგებს ტრანსფორმატორი, რომელიც მდებარეობს 50 მეტრში. მთავარი დენის კაბელი გატარდება პირველ სართულზე ელექტრო ფარში. არსებული დენის კაბელი ჩანაცვლდება ახლით.

შენობის წყალმომარაგება ხდება არსებული მუნიციპალური ქსელიდან. კანალიზაციის სისტემა დაერთდება არსებულ მუნიციპალურ კანალიზაციის ქსელზე, რამდენიმე გამომშვები მილით. პროექტში გათვალისწინებულია წყლის გამაცხელებელი 250 ლიტ მოცულობის ბოილერის დამონტაჟება.
პროექტის განხორციელების ხანგრძლივობაა 5 თვე.</td></tr>
<tr><td>ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)</td><td colspan="2">ჯგუფის ხელმძღვანელი:
აჰმედ აივეიდა,
ჯგუფის ხელმძღვანელის მოდაგილე:
ქსიაოლან ვანგი</td><td>უსაფრთხოების სპეციალისტი:
დარეჯან კაპანაძე</td></tr>
<tr><td>განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)</td><td>განმახორციელებელი ერთეული:
მუნიციპალური განვითარების ფონდი</td><td>სამუშაოთა ზედამხედველი:
საკონსულტაციო კომპანია Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain</td><td>სამუშაოთა კონტრაქტორი:
შპს „რესტავრატორები და კომპანია“</td></tr>
<tr><td colspan="4">ადგილმდებარეობის აღწერა</td></tr>
<tr><td>ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</td><td colspan="3">ასპინძის მუნიციპალიტეტი</td></tr>
<tr><td>ორგანიზაციის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</td><td colspan="3">ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა
0500 ასპინძა თამარი ქუჩა #3
ტელ: 8 364 29 16 16
ქვე-პროექტის სამშენებლო მოედანი მდებარეობს ასპინძაში, სამხრეთ საქართველოში სამცხე ჯავახეთის რეგიონში. მანძილი თბილისიდან არის 230 კმ. დაბა ასპინძა მდებარეობს 34 კმ-ში ქალაქ ახალციხიდან, რომელიც წარმოადგენს რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.</td></tr>
</table>

ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მიწის ნაკვეთი, რომელზეც შენობა არის განთავსებული რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრება .
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	დაბა ასპინძა მდებარეობს ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1090 მეტრზე. 2002 წლის აღწერის თანახმად მისი მოსახლეობა შეადგენს 3,2 ათასს. # 1 საბავშვო ბაღი მდებარეობს ასპინძის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც გარშემორტყმულია კერძო სახლებით, საცხობითა და სასოფლო სამეურნეო მიწებით. არსებული საბავშვო ბაღი არის ორსართულიანი. პირველი სართულის სრული ფართობია 479,27$მ^2$, მეორე სართულის - 569,20 $მ^2$, ხოლო სარდაფი - 488,36 $მ^2$. ეზოს ფართობია 2176 $მ^2$, რომელშიც შედის 849 $მ^2$ ტროტუარი და 62 $მ^2$ საქვაბე ოთახი. შენობა დაფარულია მეტალო კრამიტით. საბავშვო ბაღის ინტერიერი და ექსტერიერი დაზიანებულია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. შენობის სახურავი კარგ მდგომარეობაშია და შესაბამისად არ საჭიროებს შეკეთებას.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	ობიექტზე წყლის მიწოდება მოხდება მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემიდან. მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე დაახლოებით 4-5 კმ-ია.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი. ქვე-პროექტი დაფინანსებისათვის ოფიციალურად წარდგენილია მგფ-თვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს მუნიციპალური მმართველობის საჭიროებასა და პრიორიტეტს საერთო მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოსდაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:

	(i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); (iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის ქარხნისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; (v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე კონტრაქტორსა და შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის ხელშეკრულების საფუძველზე. დაცული უნდა იქნას GOST და SNIP ნორმები.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	სამუშაოების დაწყებამდე ქვე- პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა განხილული იქნა ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა დაბა ასპინძაში, კულტურის სახლის შენობაში, 2015 წლის 17 მარტს.
დანართები	
დანართი 1: სამშენებლო ადგილის გეგმა, ფოტო მასალა. დანართი 2: საკადასტრო ინფორმაცია დანართი 3: ასპინძის მუნიციპალიტეტის წერილი დანართი 4: საჯარო კონსულტაციის პროცესის დოკუმენტაცია	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	**სტატუსი**	**შემარბილებელი ღონისძიებები**
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	B. ახალი მშენებლობა	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **B**
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **C**
	E. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **D**
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები[2]	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **E**
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **F**
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **G**
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **H**

[1] მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

[2] ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; (d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა; (e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქნის შემცირების მიზნით.
	ხმაური	(a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან; (c) მანქანა-მექანიზმებმა უნდა იმოძრაოს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; (d) შეზრუდული უნდა იყოს მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე;

		(e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; (f) მექანიზმების გამორთვა, როდესაც ისინი არ არის პირდაპირ მოხმარებაში; მაყუჩების გამოყენება.
	წყლის ხარისხი	(a) მასალების დასაწყობების ადგილები და ნაყარი დაცული უნდა იყოს ჩარეცხვისაგან ინტენსიური წვიმების და დატბორვის პერიოდში, წყალგაუმტარი მასალით დაფარვის მეშვეობით. (b) გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში. (c) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ზეთების, გამხსნელებისა და საღებავების შესაბამისად შენახვა და გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაჟონვები და დაღვრა. მანქანა მექანიზმების ყოველდღიური შემოწმება უნდა განხორციელდეს რათა თავიდან იქნას აცილებული გაჟონვები ან სხვა მსგავსი პრობლემები. სატრანსპორტო საშუალებების ტექ. მომსახურება, რეცხვა და გაპოხვა უნდა ხდებოდეს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მყარ ნიადაგზე და არა ხელოვნურად შექმნილ გრუნტზე. ეს ადგილები უნდა მდებარეობდეს მდინარიდან არანაკლებ 50 მეტრში. (d) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნას გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემაკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი). (e) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა რომელიმე წყლის ობიექტში.
	ნარჩენების მართვა	(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნას დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები; (b) მინერალური სამშენებლო და ნანგრევი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნას სხვა ნარჩენებისგან (ორგანული, თხევადი, ქიმიური) ადგილზევე დახარისხებით და უნდა განთავსდეს სათანადო კონტეინერებში; (c) სამშენებლო ნარჩენები უნდა შეგროვდეს და სათანადოდ განთავსდეს წინასწარ შეთანხმებულ ადგილას; (d) ნარჩენების დაწვა აკრძალულია; (e) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო განკარგვის დასაბუთება; (f) შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება შეძლებისდაგვარად (გარდა აზბესტისა).
	მასალების მიწოდება	a) გამოყენებული უნდა იქნას არსებული ქარხნები, კარიერები და სამტეხლოები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია ან ნებართვა; b) მასალის ახალი კარიერის ან სამტეხლოს ამოქმედების შემთხვევაში, კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია; c) კონტრაქტორმა მგფ-ს უნდა წარუდგინოს ლიცენზიების, ნებართვების, წერილობითი შეთანხმებების ასლები, იმის დასასაბუთებლად, რომ ყველა სახის მასალა მიღებულია ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;

		d) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნას აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან მასალის მოპოვება დასრულებულია; e) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში; f) განთავსდეს სიჩქარის მარეგულირებელი, შემოვლითი გზისა და გამაფრთხილებელი ნიშნები.
	მიწის სამუშაოები	ა) ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა სამუშაოების დაწყებამდე; ბ) ნიადაგის ზედა ფენის სათანადო დასაწყობება უნდა განხორციელდეს რათა შენარჩუნებული იქნას ნიადაგის ფიზიკო ქიმიური და ბიოლოგიური აქტივობა, უნდა მოეწყოს დროებითი დამცავი სილის ღობეები რათა თავიდან იქნას აცილებული ეროზია. გ) დასაწყობებული ნიადაგის ზედა ფენა გამოყენებული უნდა იქნას აღდგენითი სამუშაოებისა და გამწვანებისათვის. დ) ნიადაგი იმ ადგილებიდან რომელიც არ დაუბრუნდება საწყის მდებარეობას ფრთხილად უნდა იქნას გაშლილი მიმდებარე ტერიტორიაზე. ე) ნიადაგის ზედა ფენა ნიადაგის ქვედა ფენისაგან განცალკევებით უნდა იქნას აღდგენილი და გატარდეს ზომები ამ მასალების ერთმანეთში აღრევის საწინააღმდეგოდ. ზედა ფენის აღდგენა იმ დონემდე უნდა მოხდეს, რომ აღდგენილი იქნას ნიადაგის ნაყოფიერი შრე, როგორც ეს ნიადაგის მოხსნის დროს დათვალიერებისას და აღდგენილი ობიექტისა და მიმდებარე მიწის შედარებისას დადგინდა. ნიადაგის ზედა ფენის აღდგენსას კონტრაქტორმა სამუშაოები იმგვარად უნდა დაგეგმოს, რომ დასაწყობების ადგილიდან ყველზე მოშორებული ტერიტორიები პირველად იქნას აღდგენილი, და ეს სამუშაოები ნელ-ნელა მიუახლოვდეს დასაწყობების ადგილს. ამგვარად შემცირდება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა აღდგენილ ნიადაგზე. აღდგენილი ზედა ფენა შემდგომ უნდა გაფხვიერდეს, რათა დაცული იქნას წონასწორიობა და ხელი შეეწყოს მცენარეული საფარის ზრდას. ვ) შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების მყისიერად შეჩერება და მგფ-თვის შეტყობინება, რომელიც თავის მხრივ ატყობინებს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ის კი იღებს პასუხისმგებლობას შემდგომ ქმედებებზე. სამუშაოების განახლება სამინისტროს ოფიციალური წერილობითი ნებართვის საფუძველზე.
B ჩამდინარე წყლების ინდივიდუალური გამწმენდი სისტემა	წყლის ხარისხი	ა) სანიტარული ნარჩენების და ჩამდინარე წყლების განკარგვისადმი მიდგომა დამტკიცებული უნდა იქნას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ბ) უნდა განხორციელდეს საკანალიზაციო სისტემების (მდე/ შემდეგ) მონიტორინგი

H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ობიექტი შესაბამისად იქნას დაცული, ხოლო მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ფუნქციონირება - რეგულირებული. რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ▪ განთავსებული უნდა იქნას საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. ობიექტი კარგად ხილული უნდა იყოს, ხოლო საზოგადოება - გაფრთხილებული ყველა შესაძლო საფრთხის შესახებ; ▪ სამშენებლო მოედანი უნდა შემოიღობოს და დაცული იქნას უნებართვო შემსვლელებისაგან (განსაკუთრებით ბავშვებისაგან). ▪ უნდა მოეწყოს სათანადო განათება და კარგად ხილული უსაფრთხოების ნიშნები; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში;

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
			სამშენებლო ფაზა			
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

					მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	მოხსნილი ნიადაგის დროებით განთავსება შეთანხმებულ ტერიტორიაზე. მოხსნილი ნიადაგის უკუჩაყრა და/ან მისი გატანა წინაწარ განსაზღვრულ ადგილას. შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების მყისიერად შეჩერება და შესაბამისი სამინისტროს შეტყობინება, და სამუშაოების განახლება ოფიციალური თანხმობის საფუძველზე. ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა სამუშაოების დაწყებამდე. გამოყენებული იქნას ნიადაგის ზედა ფენის შენახვის სათანადო პრაქტიკა. შლამის მესერის მოწყობა. მოხსნილი ზედა ფენის გამოყენება აღდგენისა და გამწვანებისათვის.	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება. ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანებისა და დანაკარგის თავიდან აცილება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.	ინერტული მასალის კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრასპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების მინიმუმამდე დაყვამა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხიელებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ექსპლუატაციის ფაზა						
საბავშვო ბაღის ექსპლოატაციის ას წარმოქმნილი ნარჩენები	მყარი/საყოფაცხოვრებო ნარჩენების სათანადოდ განკარგვა	მუნიციპალური ტერიტორია	ინსპექტირება	საბავშვო ბაღის ექსპლოატაციისას	მყარის ნარჩენებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	ასპინძის მუნიციპალიტეტი

დანართები და სამშენებლო ადგილი რუკა.

ასპინძის N 1 საბავშვო ბაღის ადგილმდებარეობა



არსებული საბავშვო ბაღის ფოტო მასალა

დანართი 2. საკადასტრო ინფორმაცია

ნაწილ (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 60.01.33.124**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882011358336 - 26/07/2011 10:40:00	**01/08/2011 18:33:40**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ასპინძა	დაბა ასპინძა		
60	**01**	**33**	**124**

მისამართი: დაბა ასპინძა , ქუჩა სააკაძე , N 1

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი:2285.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**60.01.01.219;**

შენობა-ნაგებობის ჩამონთვალი: ობიექტი N1 (N1ბაგა-ბაღი), ობიექტი N2 (საქკაბე)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 602008000717 , თარიღი 10/11/2008

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამაგებითი ქონების სახით საკუთრებაში გადაცემის დამოწმების (აღიარების) შესახებ (N 1 ბაგა-ბაღის შენობა). N1-1155 , დამოწმების თარიღი:02/10/2008 ,ნოტარიუსი ე. ოთანაძე
- მომართვა N494 , დამოწმების თარიღი:04/08/2011 , ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- მომართვა N462 , დამოწმების თარიღი:04/11/2008 , ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:
ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრე:
ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოებლეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგრამალური აქციების რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სამეწარმეო მიზნებისა მიზნებისა საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარდგენს ფულადადის საგადასახადო ორგანის. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერი გვნიკური ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში, შესაძლებელია ხარვეზსგრაფი სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგენთ გასცხალება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე ხარვეზსგრაფეთ სამსახურში ან „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	*60 01 33 124*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882011358336
მიწის ნაკვეთის ფართობი:	*2285* კვ.მ.
დანიშნულება:	არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:	
მოგზაურობა:	05.08.11



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
www.napr.gov.ge
ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური. ქ. ახალციხე, 0500 თამარის ქ. №3

დანართი 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი

საქართველო
ასპინძის მუნიციპალიტეტის
გამგეობა
THE BOARD MUNICIPALITY OF ASPINDZA
0500 ასპინძა, თამარის ქ.№3
ტელ (Tel): 8(364) 29-16-16

№ 1/1291 03 ივლისი, 2014 წ.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების
ფონდის აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ გიორგი ამაშუკელს

ბატონო გიორგი,

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, გიგზავნით ინფორმაციას ასპინძაში #1 და #2 საბავშვო ბაღების შესახებ:

დღეის მდგომარეობით ორივე საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს და თითოეულ მათგანში სწავლობს 125 ბავშვი. №1 საბავშვო ბაღში დასაქმებულია 22 ადამიანი, ხოლო №2 საბავშვო ბაღში 20 ადამიანი. საბავშვო ბაღების მომსახურე პერსონალს ხელფასს უხდის ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა. პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალისათვის ანაზღაურების გადახდა უწყვეტად გაგრძელდება საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის პერიოდში.

სწავლის პროცესის შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით, გამგეობა უზრუნველყოფს აღსაზრდელებისა და მომსახურე პერსონალის გადაყვანას აღნიშნული საბავშვო ბაღებიდან ერთ-ერთში, მეორე საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციის განმავლობაში.

პატივისცემით,

ასპინძის მუნიციპალიტეტის
გამგებელი ლევან ცაბაძე

შემსრულებელი: ანა ტივაძე

დანართი 4: საჯარო კონსულტაციების დოკუმენტაცია

მარტი 17, 2015

დაბა ასპინძა, ასპინძის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

დაბა ასპინძის N1 და #2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2015 წლის 17 მარტს დაბა ასპინძაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლის შენობაში, გაიმართა დაბა ასპინძის N1 და N2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების გარემოს დაცვის მართვის გეგმების საჯარო განხილვა, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

<u>ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლები:</u>

ალექსნადრე პაპაშვილი - გამგებლის პირველი მოადგილე

მამუკა მელიქიძე - საკრებულოს თავმჯდომარე

თეა ბერიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი

ანა ტივაძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ანზორი ალელიშვილი - ინფრასტრუქტირის,სივრცითი მოწყობის მშენებლობის სამსახურის უფროსი

როსტომ წიკლაური - ასპინძის მუნიციპალიტეტის არქიტექტორი

თემური დევნოსაძე - მშენებლობის ზედამხედველობის მთავარი სპეციალისტი

მაყვალა ბერიძე - ეკონომიკური დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი

ასევე: გიორგი ჯვარიძე, მერაბი თედორაძე, ემინ ბალოიან, ტიტიკო მაღრაძე-ასპინძის საკრებულო, ირმა ზედგინიძე, თეონა ბერიძე, მთვარისა ივულაშვილი

<u>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლები:</u>
მანანა თედორაძე, ნანა ტივაძე.

<u>ადგილობრივი მაცხოვრებლები</u>: მაკა ბერიძე, ქეთევან ლოლაძე, ნანა ზაზაძე, ლელა მელიქიძე, თამილა ცინცაძე, ბესიკ მაგრაქველიძე, ნუგზარ ლონდარიძე, თინათნ გელაშვილი, მაკა მაისურაძე, ლია აბესაძე, იური ბერიძე

<u>მშენებელი კონტრაქტორის წარმომდგენელი:</u>

ჯემალ კუპრაძე – შპს ,,რესტავრატორები და კომპანია".

<u>საქართველოს მუნიციპალური განვითარების წარმომადგენლები:</u>

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი

თამარ ქარდავა - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი;

მიხეილ წერეთელი - მონიტორინგის სპეციალისტი

ავთანდილ ჯაყელი- პროექტების მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტი

შეხვედრაზე ნინო პატარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ქვე-პროექტის მიზნებისა და იმ სამშენებლო სამუშაოების შესახებ რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში.

მან საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისთვის მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული

პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა და ღონისძიებები სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად. ისაუბრა ქვე-პროექტის სოციალურ ასპექტებზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან ორივე საბავშვო ბაღი მოქმედია იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული სწავლის პროცესის შეწყვეტა, ბაღების რეაბილიტაცია მოხდება რიგ-რიგობით და ბავშვები და პერსონალი დროებით იქნებიან გადაყვანილნი ჯერ ერთ და სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მეორე საბავშვო ბაღში. შესაბამისად ქვე-პროექტს არ ექნება ზეგავლენა პერსონალზე, ბავშვებსა და მათ ოჯახებზე და არ შეეზღუდებათ საზოგადო მომსახურეობის შესაძლებლობა. ასევე, ქვე-პროექტს არ ექნება ზეგავლენა პერსონალის შემოსავალზე, მათი ხელფასის გადახდა სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში უწყვეტად მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ.

ნ. პატარაშვილმა აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	**პასუხები და კომენტარები**
ვინაიდან ქვე-პროექტების განხორციელებისას მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, პროექტი ხომ არ ითვალისწინებს ბაღის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხე-მცენარეების დარგვას.	ა. ჯაყელმა განმარტა რომ პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობას, მათ შორის, ბილიკების და სათამაშო სივრცეების (სასრიალოები, საქანელების და ა.შ.) მოწყობას. **ბატონმა ალექსანდრემ,** მიმართა საზოგადოებას, რომ საბავშვო ბაღების ტერიტორიებზე გამწვანების სამუშაოებს განახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი საჭიროებიდან გამომდინარე.
ხომ არ არის სხვა მსგავსი ქვე-პროექტების განხორციელება დაგეგმილი ასპინძის მუნიციპალიტეტში?	ქალბატონმა თამარ ქარდავამ აღნიშნა, რომ რეგიონული და მუნიციპალური განვითარების პროექტის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტში სხვა ქვე-პროექტები არ იგეგმება. მან საზოგადოებას მოკლედ მიაწოდა

	ინფორმაცია რეგიონული განვითარების მესამე პროექტის შესახებ, რომელიც ხორციელდება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და ზოგადად ისაუბრა იმ სავარაუდო ქვე-პროექტების შესახებ, რომელთა დაფინასება და განხორციელებაც შეიძლება მოხდეს ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების მესამე პროექტის.

შეხვედრის დასასრულს საზოგადოებამ დიდი მადლიერება და კმაყოფილება გამოთქვეს პროექტთან მიმართებაში და აღნიშნეს რომ საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს და საფუძველს ჩაუყრის მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებას.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია ქვემოთ.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტის ნინო პატარაშვილის მიერ.

მარტი 17, 2015.

მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

დაბა ასპინძის N1 და N2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების

გარემოს დაცვის მართვის გეგმების საჯარო განხილვა

17 მარტი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	599253531 [illegible]	[illegible]
2.	[illegible]	[illegible] „[illegible] და [illegible]"	[illegible]	[illegible]
3.	[illegible]	[illegible]	599106250	[illegible]
4.	[illegible]	[illegible]	595 48 89 38	[illegible]
5.	[illegible]	[illegible]	591 91 89 36	[illegible]
6.	[illegible]	[illegible]	595 09 13 67	[illegible]
7.	[illegible]	[illegible]	595 000 591	[illegible]

8.	[illegible]	[illegible]	591941930	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	551 139676	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	591913505	[illegible]
11.	[illegible]	[illegible]	555024888	[illegible]
12.	[illegible]	[illegible]	595060404	[illegible]
13.	[illegible]	[illegible]	551744004	[illegible]
14.	[illegible]	[illegible]	597918290	[illegible]
15.	[illegible]	[illegible]	591 942 942	[illegible]
16.	[illegible]	[illegible]	595 091065	[illegible]
17.	[illegible]	[illegible]	595 09 11 53	[illegible]
18.	[illegible]	[illegible]	595 09 12 22	[illegible]

19.	[illegible]	[illegible]	595 58 24 99	[illegible]
20.	[illegible]	[illegible]	0364 29 13 99	[illegible]
21.	[illegible]	[illegible]	591-91-77-34	[illegible]
22.	[illegible]	[illegible]	591-94-18-54	[illegible]
23.	[illegible]	[illegible]	591-91-77-36	[illegible]
24.	[illegible]	[illegible]	595-09-13-71	[illegible]
25.	[illegible]	[illegible]	599-10-89-81	[illegible]
26.	[illegible]	[illegible]	591 91-89-73	[illegible]
27.	[illegible]	[illegible]	592-79-01-49	[illegible]
28.	[illegible]	[illegible]	593-19-52-04	[illegible]
29.	[illegible]	[illegible]	551 08 00 33	[illegible]

30.	[illegible]	[illegible]	577-64-74-65	[illegible]
31.	[illegible]	[illegible]	595 92 77 15	[illegible]
32.				
33.				
34.				
35.				
36.				
37.				
38.				
39.				
40.				

სურათები